

ორშაბათი, თებერვალი 3, 2020

სიახლე:

სიმფონიური ორკესტრისა და პიანისტის შესანიშნავი ტანდემი




აქარა

განთავსების
94-ე შტატი

www.gazetiajara.ge

ბაზოლი: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს





ტურიზმი

ახალი მარშრუტი – ევროპროექტის ფარგლებში

წ ნოემბერი 12, 2019

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს საკონსულტაციო სტატუსის მქონე ორგანიზაცია ა(ა)იპ «გარემოს დაცვის ეკოცენტრი» 1985 წელს არის დაფუძნებული. მისი საქმიანობის არსია ქვეყნის ეკოლოგიური და გარემოსდამცავი ღონისძიებების გატარება. ბოლო დროს ორგანიზაციის მესვეურები ტურიზმის განვითარების მიმართულებებითა და დაინტერესდნენ.

არასამთავრობო ორგანიზაციაში საინჟინროსაპროექტო წინადადებებთან ერთად, საერთაშორისო და სამამულო საგრანტო პროექტების სხვადასხვა მიმართულება მუშავდება. მათ აჭარაში პარტნიორი ორგანიზაციის სახით შპს «მარანტური» შეიძინეს.

ჩვენი სტუმრები არიან ა(ა)იპ «გარემოს დაცვის ეკოცენტრის» დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გივი გავარდაშვილი და შპს «მარანტურის» ხელმძღვანელი ვაჟა დავითაძე.

გივი გავარდაშვილი: ჩვენი ორგანიზაცია 20 წელზე მეტია, აჭარის მთიანეთის ეკოლოგიურ პრობლემებზე მუშაობს. საქმიანი, გარემოსდაცვითი პროექტები გვაქვს განხორციელებული თხილვანაში, ღორჯომში, ახოში, მერისის ხეობაში, ვაშლოვანში, სკვანაში, ბუთურაულში, ნიგაზულში, ცხემლისში (დარგულას უბანი, ცეკვის უბანი), ზედაყანაში, აგარაში, ნალვარევი.

– ამჟამად თქვენი ჩამოსვლა რას უკავშირდება?

– აჭარას დიდი და მრავალმხრივი ტურისტული პოტენციალი აქვს. მქონდა პატივი, გავცნობოდი იმ კონცეფციას, რომელიც რეგიონის ტურიზმისა და კურორტების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თინათინ ზოიძემ ჭვანის ხეობის ფოლკლორის საღამოზე წარმოადგინა. იგი ერთი ხეობის კონცეფციაა და მისასაღმებელია, რომ ასეთი მასშტაბურია. ჩვენი ორგანიზაცია ევროპის ოთხ ქვეყანასთან (ბულგარეთი, რუმინეთი, უკრაინა და თურქეთი) ერთად ამუშავებს ევროკავშირის გრანტს «კულტურული ტურიზმის მდგრადი განვითარება შავი ზღვის აუზში». პროექტის საერთო ხელმძღვანელია ბულგარეთის რესპუბლიკის სუზოპოლოს მუნიციპალიტეტი. საქართველოში ეს პატივი წილად ხვდა ა(ა)იპ «გარემოს დაცვის ეკოცენტრს». თქვენი გაზეთის მკითხველისთვის ცნობილია, რომ საქართველოს ტურიზმის სტრატეგიის მიზანია ისეთი გზამკვლევის შექმნა, რომელიც მის მდგრად განვითარებას შეუწყობს ხელს და შემოსავლებს გაზრდის. საქართველოს მთავრობის ამოცანაა, შემუშავდეს და განხორციელდეს გეგმა, რომელიც ქვეყნის მდიდარ ბუნებრივ და კულტურულ რესურსებს მსოფლიო დონის ტურისტულ პროდუქტად და უნიკალური შთაბეჭდილებების მიღების შესაძლებლობად აქცევს. ამ ეტაპზე საქართველო საშუალოგადახდისუნარიან ტურისტებს მასპინძლობს. ევროკავშირის გრანტის საფუძველზე, მაღალგადახდისუნარიან ტურისტებს მოვზიდავთ ევროკავშირის ქვეყნებიდან, ჩრდილოეთ ამერიკიდან, ახლო აღმოსავლეთიდან და აზიიდან. პროექტი ითვალისწინებს საქართველოში ახალი ტურისტული მარშრუტების დამუშავებას და რეკომენდაციას ევროკავშირში მომავალი ბიუჯეტირების მიზნით. აჭარაში ჩვენ პარტნიორი ორგანიზაციის სახით შპს «მარანტური» შევარჩიეთ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მისი ხელმძღვანელი ვაჟა დავითაძე

ქვეყნის ერთგული და პატრიოტი ადამიანია, მრავალი სიახლის წამომწყები. მას დიდი წვლილი მიუძღვის სამთო-სათხილამურო კურორტ გომარდულის წარმოჩენაში. წლების განმავლობაში შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე იყო. იგი აქტიურადაა ჩართული აჭარაში მართლმადიდებლური მრწამსის დაბრუნებასა და ეკლესიების მშენებლობაში. მისი მარანი აჭარაში ტურიზმისა და მეღვინეობის განვითარების საუკეთესო მაგალითია. მშობლიურ რაიონთან, სოფელ ოქროპილაურთან ურთიერთობას ერთი დღითაც არ წყვეტს. ერთად მუშაობის შედეგად დავამუშავეთ ახალი ტურისტული მარშრუტი, რომელიც მოიცავს ქალაქ ბათუმს, შავი ზღვის სანაპიროს და მთიან აჭარას. გვსურს, ახალი ლოკაციები მსოფლიო ტურიზმის სქემაში ჩავართოთ. სამდღიანი ტურისტული მარშრუტი შს «მარანტურში» დაიწყება და მთლიანად ბათუმს მოიცავს. კერძოდ, ექსკურსიები ქალაქში, შავი ზღვის აკვატორიაში, ვანშამი ღვინის რესტორანში, ეროვნული ტრადიციებითა და ტექნოლოგიით დამზადებული ღვინოების დეგუსტაცია, ჭაჭის გამოხდა და დაგემოვნება ღვინის მარანში ფოლკლორული ანსამბლის თანხლებით, პილიგრიმული ტურები მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ეკლესიებში. უფრო შინაარსიანი და მრავლისმომცველი იქნება 4-დღიანი ტური აჭარის მთიანეთში, რომელიც მიზნად ისახავს ქედის, შუახევის, ხულოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე არსებული ღირსშესანიშნაობების გაცნობას. ამ მიზნით შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელი ოქროპილაური ავირჩიეთ. აქაა შესანიშნავი საოჯახო სასტუმრო ენდემური ეზოთი და ბუნებით. ბატონ ვაჟასთან ერთად პროექტში ჩართულია ხულოს მუნიციპალიტეტის მკვიდრი მამუკა გელაძე.

ვაჟა დავითაძე: შუახევისა და მთელ აჭარაში თითოეული ისტორიული ძეგლი, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები ჩემთვის კარგად ნაცნობია. როცა შუახევის წარმომადგენლობითი ორგანოს ხელმძღვანელი ვიყავი, მეგობრების დახმარებით ოთხდღიანი ტურისტული ლაშქრობა მოვანყვეთ ტაოკლარჯეთში. შემდეგ იქ არსებული ისტორიული ძეგლები, ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშები გავაცანი რუსთაველის პრემიის ლაურეატს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ფრიდონ ხალვაშს. სხვათა შორის, ეს მისი უკანასკნელი გასვლა იყო ძირძველ ქართულ მიწაზე. კინოდოკუმენტალისტ ზურაბ ქავთარაძესთან ერთად გადავიღეთ დოკუმენტური ფილმი «ტაო-კლარჯეთი». 10 წელზე მეტია, «გარემოს დაცვის ეკოცენტრთან», მის ხელმძღვანელთან გივი გავარდაშვილთან ვთანამშრომლობთ. ერთობლივი მუშაობით მრავალი სასიკეთო საქმე გვაქვს გაკეთებული აჭარის მთიანეთის ეკოლოგიური პრობლემების გადწყვეტაში. ბატონ გივის შემოთავაზებას ტურიზმის სფეროში ერთობლივი მუშაობის თაობაზე, უყოყმანოდ დავთანხმდი.

– ამ შეთანხმებით რა სიახლეებს სთავაზობთ ტურისტებს?

– ადამიანი ბრმა უნდა იყოს, რომ ვერ დაინახოს ის ეკონომიკური და კულტურული ძვრები, რაც აჭარის მთიანეთშია. დაბა ქედაში მდინარეების აჭარისწყლისა და აკავერეთას ხერთვისში ფრიდონ ხალვაშის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი გააშენეთ, მდინარე აჭარისწყალს ნახევარ ჰექტარამდე ტერიტორია «გამოვტაცეთ». სახეს იცვლის დაბა შუახევის ცენტრი, ხულოს სავიზიტო ბარათად მონათლა თქვენმა გაზეთმა მართლმადიდებლური ტაძრის შენობა. ღორჯომის ცენტრში თითქმის მილიონამდე ლარი იხარჯება მდინარე ფონას ნაპირსამაგრ სამუშაოებზე. ვითარდება სამთო-სათხილამურო კურორტები გოდერძი და ბეშუმი. საუბარია ღორჯომი-ზოტიყელი-ბახმაროს გზის მოწესრიგებასა და ბეტონის საფარის დაგებაზე. ჭვანის ხეობაში არსებული ლელთის ტბის ტურისტულ მარშრუტებში ჩართვაზე, ხიხანის ციხის ასასვლელამდე მოასფალტებული ან ბეტონისსაფარიანი გზის გაყვანაზე. უტოპიად აღარ რჩება ხულო-გოდერძი-ზარზმის 47 კილომეტრიანი მაგისტრალის რეკონსტრუქცია. დაწყებულია მუშაობა გვახამორევის (მერისი), დარგულას (ჭვანა) ჩანჩქერების ტურისტულ ობიექტებში ჩართვაზე. აღარ ვსაუბრობ მახუნცეთის ჩანჩქერის, მთა ღომასა და გომარდულის ტურისტულ პოტენციალზე. შევიმუშავეთ ახალი, შვიდდღიანი ტურისტული მარშრუტი, აქედან 3 დღე ქალაქ ბათუმს, ხოლო 4 დღე მთიან აჭარას დაეთმობა. მარტო ისტორიული ძეგლების (აჭარის მთიანეთი ამ მხრივაც გამორჩეულია), კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების გაცნობით არ შემოვიფარგლებით. მამისეული კერის მოპირდაპირედაა კოლოშნარის დასახლება. აქ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსებით ჩითილების სათბური, ვეტერინარული კლინიკა, პესტიციდების მარკეტი აშენდა. ამ ობიექტების მიმდებარე ტყეში ხემარწყავა, რაც იშვიათი ენდემური ჯიშია. მას თავის დროზე ლაკლაკეთელმა ნოდარ აბუსელიძემ მიაკვლია. ტურისტებს ჩვენს გამორჩეულ ბუნებას, ენდემური ჯიშის (ურთხელი, ხემარწყვა, ბზა) მცენარეებს გავაცნობთ, მდინარეებს ხერთვისებს, ჩანჩქერებს მოვინახულებთ, ყურადღების მიღმა არ დაგვრჩება მაჭახლის ხეობა, დაცული ტერიტორიები. აჭარის მთიანეთის მოსახლეობა ფლობს ღვინოების დანერგვა

დამზადების, ტრადიციული მეთოდებით თამბაქოს ადგილობრივი ჯიშების დამუშავების ტექნოლოგიასა და მეთოდებს. ტურისტებს შესაძლებლობა ექნებათ, ამ პროცესებს გაეცნონ. მათ ვთავაზობთ მდინარეებში ბანაობასა და თევზაობას, სოფელ ოქროპილაურის ფერმერულ მეურნეობაში ფიზიკურ შრომას, ლაშქრობას მთა ღომამდე, აჭარული ფოლკლორის გაცნობას, ფოლკლორულ ფესტივალებში, სახალხო დღესასწაულებში («შუამთობა», «ტბელობა», «შემოდგომა ქედაში», «შუახევობა», «ზამლეთობა», «ლელთობა») მონაწილეობას, ექსკურსიებს სამთოსათხილამურო კურორტ გოდერძსა და მწვანე ტბაზე.


– საუბარია აჭარის მთიანეთში ოთხი სეზონის განმავლობაში ტურისტების მოზიდვაზე. ამ პროცესში თუ ხართ ჩართული?

გივი გავარდაშვილი: ახალ ტურისტულ მარშრუტში მოცემულია ინფორმაციები გეოგრაფიული მდებარეობის, დასახლებული უბნების, ტურისტული ობიექტების შესახებ. უკვე მთავრდება ტურისტული მარშრუტის ინგლისურ ენაზე თარგმნა. ტური მოიცავს სპორტის ექსტრემალურ სახეობებს. ევროკავშირის პროექტის «კულტურული ტურიზმის მდგრადი განვითარება შავი ზღვის აუზში» საფუძველზე, 18-19 ნოემბერს სემინარის გამართვა იგეგმება. პროექტის საერთო ხელმძღვანელობასთან - სუზოპოლოს მერიასთან შეთანხმების საფუძველზე, ვაჟა დავითაძე ახალ პროექტს თბილისის საზოგადოებას წარუდგენს.

ვაჟა დავითაძე: - თქვენ გაზეთით პირადად ხდება საზოგადოებისთვის ცნობილი ახალი ჯურისტიკული მარშრუტის იდეა.

როცა კურორტ გომარდულის განვითარებაზე დავიწყებთ მუშაობა, მაშინაც თქვენი გაზეთი გვიჭერდა მხარს. იმედია, ამჯერადაც ასე იქნება.

გივი გავარდაშვილი: – ჩვენი საუბარი სოფელ ოქროპილაურში იწერება. ამ სოფელში ადრეც ვიყავი. მენყრული პროცესები აქაც იჩენდა თავს. მახსოვს ის თოვლიანი დღე, როცა სოფელში შემოვლითი გზით მოვედი. დღეს მდინარე ჩირუხისწყალზე გაკეთებული ხიდით შემოვდივარ ოქროპილაურში. ეს მშენებლობა, როგორც მითხრეს, აჭარის მთავრობას ერთ მილიონ ლარზე მეტი დაუჯდა. ოქროპილაურის ციხე, ნაშუმის მინერალური წყალი, ოქროპილაურის არხი, სოფელი დაბაძველი, ამ სოფლებზე გამავალი შუა საუკუნეების საქარავნო გზა, რომელიც დანდალოს თაღვანი ხიდიდან იწყებოდა, კავიანის ციხეზე, კლდისუბანზე გამოივლიდა და მთა ლომაზე გავლით, ტაო-კლარჯეთში მიდიოდა. არაა გამორიცხული, რომ ამ მარშრუტზე ტურისტული ლაშქრობა მოვანყო.

 სულ ნანახია	236
 დღეს ნანახია	5

გაზიარება



[← მინისტრი გადადგა . . . რეფორმა გრძელდება](#)

[პირველი ნაბიჯი – ფოტოხელოვნებაში →](#)

ვალუტის კურსი

3-02-2020

USD \$	2.8898	0.0000
EUR €	3.188	0.0000
RUS P	0.0455	0.0000

CURRENCY RATES BY [BOOM.GE](#)

facebook

ამინდი

LMAინგ ჟიღაბი...

ბანერი



2020 **ELIT MSHENI**

შებენ ახალ წელს - ახალ ბინაში!

აქტიური დასახლება
დასახლება ჩაბენი

ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. 39/5 | (+995) 579 29 45 95 | elitmsheini2017@gmail.com | [ELIT MSHENI](#)

თებერვალი 2020

იანვარი 2020

დეკემბერი 2019

ნოემბერი 2019

ოქტომბერი 2019

სექტემბერი 2019

აგვისტო 2019

ივლისი 2019

ივნისი 2019

მაისი 2019

აპრილი 2019

მარტი 2019

თებერვალი 2019

იანვარი 2019

დეკემბერი 2018

ნოემბერი 2018

ოქტომბერი 2018

სექტემბერი 2018

აგვისტო 2018

ივლისი 2018

ივნისი 2018

მაისი 2018

აპრილი 2018

მარტი 2018

თებერვალი 2018

იანვარი 2018

დეკემბერი 2017

ნოემბერი 2017

ოქტომბერი 2017

აგვისტო 2013

